საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №136

2015 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში (სსმ,100110000.22.038.016310, 10.04.2014 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანა“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა (შემდგომში – პაციენტი) სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ან/და მკურნალობის მიზნით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა (შემდგომში-სამკურნალო დაწესებულება) და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) გეგმური ან გადაუდებელი გადაყვანა ხორციელდება სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის (შემდგომში – სამედიცინო დეპარტამენტი) რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.“;

2. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საერთო პროფილის საავადმყოფოდან პაციენტის სხვა დაწესებულებაში დაბრუნებისას აუცილებელია სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობა, უსაფრთხოების მიზნით სხვა დაწესებულებაში დაბრუნებისას იმ დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობა, საიდანაც გაყვანილ იქნა პაციენტი, ხოლო ბადრაგირების გართულების გამო – პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს უფროსის შუამდგომლობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრის **თამარ ხულორდავა**
მოვალეობის შემსრულებელი